ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
2025 წელში განხორციელებული
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჩოხტაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წელში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშს.

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ყველა ხარჯი: საქონელი, მომსახურება, სამუშაო, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კანონს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2024 წლის 20 ნოემბრამდე შეტანილი იქნა მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში და დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები ასახული იქნა სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

2025 წლის სახელმწიფო გეგმა შედგება მერიის და საკრებულოსათვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების შესაბამისად. ყველა სახელმწიფო შესყიდვებს დაქვემდებარებული ხარჯი გეგმაში განთავსებული იქნა შესყიდვის კოდების, მონეტარული ზღვრების, განხორციელების მეთოდისა და განხორციელების ვადების შესაბამისად. ანალოგიური წესით განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების გეგმაში განთავსება.

როგორც ჩვენთვის ცნობილია შესყიდვების გეგმა არის ცოცხალი ორგანიზმი და მასში ცვლილებები ხორციელდებოდა საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფის შესაბამისად შესყიდვების კანონის დაცვით.

შესყიდვების განხორციელების პროცესში სამსახური ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო შესყიდვების პრინციპების დაცვას, კერძოდ სახსრების რაციონალურად ხარჯვას, არადისკრიმინაციულ მიდგომას, კონკურენტუნარიანობის საჯაროობის დაცვას.

2025 წლის განმავლობაში შესყიდვების განხორციელებისას ჩასატარებელ ბაზრის კვლევას სამსახური ახორციელებდა შესყიდვების სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციით და ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნით აწარმოებდა აღნიშნული კვლევის ჩატარებას. ბაზრის კვლევა ხორციელდებოდა, როგორც გამარტივებული შესყიდვისას, ასევე ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 30 დეკემბრის N78 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად ნორმატიულად განისაზღვრა ბაზრის კვლევის მეთოდები, როგორებიცაა MRS მოდულის სავალდებულო გამოყენება, პოტენციურ მიმწოდებლებთან კომუნიკაცია ან/და მათგან საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა, ელექტრონული სისტემის გამოყენება, ღია კარის დღის ჩატარება და სხვა. ასევე განისაზღვრა ის შემთხვევები, რა დროსაც შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებულია გამოიყენოს MRS მოდული.

2025 წელში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 888411,20 ლარის შესყიდვა. დაიდო 95 ხელშეკრულება.

გრანტით განხორციელდა 98838,82 ლარის შესყიდვა, დაიდო 10 ხელშეკრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელდა 9616619.17 ლარის შესყიდვა, დაიდო 83 ხელშეკრულება, მათ შორის 3 ხელშეკრულება არის მრავალწლიანი, რომელიც ფინანსდება 2026 წელს, თანხით 4824325.51 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) განხორციელდა 2538908.83 ლარის შესყიდვა, დაიდო 7 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით (,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ) გამოიყო 219638 ლარი, განხორციელდა 219088.66 ლარის შესყიდვა, გაფორმდა - 9 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით (,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ) განხორციელდა 3030 ლარის შესყიდვა, გაფორმდა 2 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოიყო 730000 ლარი, რაზედაც გაფორმებული იქნა 36 ხელშეკრულება და განხორციელებული იქნა 728170,3 ლარის შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულებით (ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ - საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად) გაფორმებულია 6 ხელშეკრულება 208699.57 ლარზე.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) 2025 წელში გაფორმდა - 5 ხელშეკრულება, განხორციელებულია - 493623.46 ლარის შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 მარტის N486 განკარგულებით განხორციელდა 178165,42 ლარის შესყიდვა, რაზეც გაფორმდა - 12 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) გაფორმდა 1 ხელშეკრულება, სახელშეკრულებო ღირებულებით - 3777776.62 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 13 მაისის N783 განკარგულებით (ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) გამოყოფილ თანხით განხორციელდა 9915 ლარის შესყიდვა, რაზეც გაფორმდა 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) განხორციელდა 137264.42 ლარის შესყიდვა, რაზედაც გაფორმდა - 4 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 (ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ) და 30 ივლისის N302 (საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ) განკარგულებებით კონსოლიდირებული ტენდერის ფაგლებში განხორციელდა 1110557.09 ლარის შესყიდვა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში (საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება).

2025 წელში სახელმწიფო შესყიდვებს ელექტრონული ტენდერების საშუალებით ახორციელებდა მერის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია 4 კაცის შემადგენლობით და კომისიის აპარატი 3 კაცის შემადგენლობით.

2025 წელში ჩატარებული იქნა 62 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის არ შედგა 6 ელექტრონული ტენდერი , ურყოფითი შედეგით დასრულდა - 2 ელექტრონული ტენდერი, შეწყვეტილი იქნა 3 ელექტრონული ტენდერი. ჩატარებული იქნა 48 კომისიის სხდომა, განხილული იქნა 72 საკითხი. ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 2 მონაწილე, კონსოლიდირებული ტენდერით განხორციელდა 1545557.83 ლარის შესყიდვა, გაფორმდა - 18 ხელშეკრულება.

ამჟამად 2025 წელში დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებიდან დაუსრულებელია 3 ხელშეკრულება, საიდანაც ამ ეტაპზე 1 მიმდინარეობს ხელშეკრულების ვადებში, ხოლო 2 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს ერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.

დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ინსპექტირებას, შესრულებული სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარებას ახდენდა მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე და შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებებისა და საჯარიმო სანქციის დაწესებაზე.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ საჯარიმო სანქციები დაუწესდა 26 მიმწოდებელს, დაერიცხა პირგასამტეხლო ჯამში 52998.90 ლარი, შავ სიაში განთავსებული იქნა 1 მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს კომისიის მუშაოების მიმართ 2024 წლის ანგარიშში აღნიშნული ქონდა რეკომენდაციები, რომელიც 2025 წელში კომისიას უნდა გაეთვალისწინებია. მართალია ნაწილობრივ იქნა ზოგიერთი რეკომენდაცია გათვალისწინებული, მაგრამ ძირითადი ისევ გასათვალისწინებელია, კერძოდ: ისევ მტკივნეულად დგას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების რამდენჯერმე კორექტირება, ხელშეკრულების ვადების გაზრდა. ზოგ შემთხვევაში შესრულების

ვადაზე მეტი ხნით, ვადის გაგრძელების არგუმენტები არ არის მყარი, თითქმის ყველა სამუშაოზე გაცემულია გაუთვალისწინებელი ხარჯები, რის გამოც, როგორც გაუთვალისწინებელს თავისი მნიშვნელობა დაკარგული აქვს. არის შემთხვევები საჯარიმო სანქციის პერიოდში გაფორმებულია შუალედური აქტები, რაც დაუშვებელია. ასევე სამუშაოებზე წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნების შენაარსი ზოგ შემთხვევაში გადამოწმებას მოითხოვს. ასევე ინსპექტირების კომისიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებას. არის საპროექტო დოკუმენტაციები, სადაც არ არის შესაბამისი ნახაზები, რაც თავს იჩენს სამუშაოების მიმდინარეობის დროს. იმედია 2026 წელში კომისია გაითვალისწინებს მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის რეკომენდაციებს და იმოქმედებენ ხელშეკრულებების გათვალისწინებული მუხლებითა და სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად.

ინსპექტირების ჯგუფმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ზედამხედველობას და საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ საზედამხედველო მომსახურების ხარისხიანად განსახორციელებას.

მუნიციპალური შესყიდვების სამსახური თავის ფუნქციას ასრულებს 5 კაცის შემადგენლობით: სამსახურის უფროსი, 3 სპეციალისტი და 1 ტექნიკური მუშაკი. სამსახურის 4 სპეციალისტს აქვს შესაბამისი სერტიფიკატი. სამსახური უზრუნველყოფს საანგარიშო პერიოდში ყველა შესყიდვის სახელმწიფო შესყიდვების კანონის დაცვით განხორციელებას, ადგენს სახელმწიფო სახელმწიფო შესყიდვების გეგმას, შესყიდვების განხორციელებამდე აწარმოებს ბაზრის კვლევების ჩატარებას, უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერიის სამსახურების მატერიალურ ტექნიკურ მომარაგებას, ახდენს მერიის ბალანზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვას და უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური, სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მერის ბრძანებით შექმნილ კომისიებში. თანამშრომლობენ შესყიდვების განხორციელების რეკომენდაციის კუთხით საკრებულოსთან, კომისიებთან, მერის ბრძანებით შექმნილ ა(ა)იპი -ებთან. კვალიფიციურ ამომწურავ პასუხს ცემენ სამსახურის წინაშე დასმულ ყველა შეკითხვას.

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვები საჯაროა. ყველა სახელმწიფო შესყიდვა განთავსებულია ელექტრონულსისტემაში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. სამსახური საჯარო ინფორმაციას გასცემს კანონით დადგენილ ვადებში.

სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. კარგი კომუნიკაცია აქვს გუბერნიის წარმომადგენლებთან და რეგიონის მერიის სპეციალისტებთან და კოლეგებთან.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის

უფროსი: ვლადიმერ გოგიბერიძე